პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 140 (3117) 21 1966 წ. ივლისი. ხუთშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი

## დღეს ნომერში:

- რ. კლარკი არ ისვენებს — მე-3 გვ.
- ო. გლოვერის ექსპერიმენტმა გაამართლა — მე-3 გვ.
- ვ-დან — ერთი პრეტენდენტი — მე-3 გვ.
- ჩოგბურთელები ამჯერად სპლიტში იასპარეზებენ — მე-4 გვ.

## VIII მსოფლიო ჩემპიონატი

ENGLAND 1966 ფეხბურთი VIII ინგლისი

### შუქი ინგლისის სტადიონებზე

| | | |
|---|---|---|
| ლონდონი | საფრანგეთი — ინგლისი | 0:2 |
| ბირმინგემი | ესპანეთი — გფრ | 1:2 |
| მანჩესტერი | უნგრეთი — ბულგარეთი | 3:1 |
| სანდერლენდი | ჩილე — სსრ კავშირი | 1:2 |

23 ივლისს — მეოთხედფინალები

ლონდონი: ინგლისი — არგენტინა

შეფილდი: გფრ — ურუგვაი

ლივერპული: პორტუგალია — კსდრ

სანდერლენდი: სსრკ — უნგრეთი

#### პირველი ჯგუფი

| | გუნდები | 1 | 2 | 3 | 4 | ქ | ბ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ურუგვაი | ● | 0:0 | 2:1 | 0:0 | 4 | 2:1 |
| 2 | ინგლისი | 0:0 | ● | 2:0 | 2:0 | 5 | 4:0 |
| 3 | საფრანგეთი | 1:2 | 0:2 | ● | 1:1 | 1 | 2:5 |
| 4 | მექსიკა | 0:0 | 0:2 | 1:1 | ● | 2 | 1:3 |

#### მეორე ჯგუფი

| | გუნდები | 1 | 2 | 3 | 4 | ქ | ბ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | შვეიცარია | ● | 0:5 | 1:2 | 0:2 | 0 | 1:9 |
| 2 | გფრ | 5:0 | ● | 2:1 | 0:0 | 5 | 7:1 |
| 3 | ესპანეთი | 2:1 | 1:2 | ● | 1:2 | 2 | 4:5 |
| 4 | არგენტინა | 2:0 | 0:0 | 2:1 | ● | 5 | 4:1 |

#### მესამე ჯგუფი

| | გუნდები | 1 | 2 | 3 | 4 | ქ | ბ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბრაზილია | ● | 2:0 | 1:3 | 1:3 | 2 | 4:6 |
| 2 | ბულგარეთი | 0:2 | ● | 1:3 | 0:3 | 0 | 1:8 |
| 3 | უნგრეთი | 3:1 | 3:1 | ● | 1:3 | 4 | 7:5 |
| 4 | პორტუგალია | 3:1 | 3:0 | 3:1 | ● | 6 | 9:2 |

#### მეოთხე ჯგუფი

| | გუნდები | 1 | 2 | 3 | 4 | ქ | ბ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | კსდრ | ● | 0:3 | 1:1 | 1:0 | 3 | 2:4 |
| 2 | სსრ კავშირი | 3:0 | ● | 2:1 | 1:0 | 6 | 6:1 |
| 3 | ჩილე | 1:1 | 1:2 | ● | 0:2 | 1 | 2:5 |
| 4 | იტალია | 0:1 | 0:1 | 2:0 | ● | 2 | 2:2 |

### საათი!

◆ ტ ა რ ტ უ, 20 ივლისი. აქ გამართულ მძლეოსანთა შეჯიბრებაში ტ. მატსინმა 800 მეტრის გარბენას მოანდომა 1.53,1. ეს შედეგი ჭაბუკთა ახალი საკავშირო შედეგია.

## ლიდერობენ საქართველოს კალათბურთელები

თბილისში, კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის სტადიონზე გრძელდება სტუდენტთა V საკავშირო სპორტული თამაშების პროგრამით გათვალისწინებული კალათბურთელთა შეჯიბრება.

ქალთა ტურნირში დაუმარცხებლად იბრძვის საკავშირო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი. III ტურში მან სათადარიგო შემადგენლობით მოუგო აზერბაიჯანის ნავთობისა და ქიმიის ინსტიტუტის კოლექტივს — 67:58. ამ შეხვედრაში თავი გამოიჩინა ბაქოელმა ლ. კრასნოიარუქსკაიამ, რომელმაც თავის გუნდს 32 ქულა მოუტანა. ოდესის სამშენებლო ინსტიტუტის კოლექტივმა დაძაბულ ბრძოლაში სძლია ტაშკენტის სარწყავ-იციანო ინსტიტუტის გუნდს 58:31.

მაგრამ შეჯიბრების III კალენდარული დღის ცენტრალური შეხვედრა მაინც საქართველოსა და ტალინის პოლიტექნიკური ინსტიტუტების ვაჟთა გუნდების შეხვედრა იყო ესტონელთა ახალგაზრდულმა კოლექტივმა, რომელიც მაღალი სათამაშო დისციპლინით გამოირჩევა, ვერაფერი გააწყო თბილისელთა კოლექტიური შეტევების წინააღმდეგ (შინაშვილი, ა. ლეჟავა, ლომაძე, ი. ლეჟავა, მანაგაძე) და განიცადა პირველი დამარცხება ანგარიშით — 64:79. ესტონელ სპორტსმენებს განსაკუთრებით გაუჭირდათ თბილისელთა ცენტრალური თავდამსხმელის ა. ლეჟავას შეტევების უვნებელყოფა (მან თავის გუნდს 25 ქულა მოუტანა). სტუმრებიდან კარგი შთაბეჭდილება დატოვეს ე. პარბომ (18 ქულა), ტ. კოკმა (12 ქულა) და აგრეთვე ძმებმა ფ. და პ. სურკასკებმა.

შეუპოვარი ბრძოლით ხასიათდებოდა ყარაგანდის პოლიტექნიკური და ტაშკენტის ფიზკულტურის ინსტიტუტების შეხვედრაც. მატჩის პირველი ნახევარი ყარაგანდის სპორტსმენებმა მოიგეს — 33:28. შესვენების შემდეგ დაწინაურდნენ ტაშკენტელები — 52:47. მაგრამ მწვრთნელის ტაქტიკურმა შეცდომამ (მან მოულოდნელად თამაშიდან გაიყვანა ტანმაღალი ა. ქარმუხამედოვი, რომელიც მატჩის საუკეთესო ხნაიპერი გამოდგა) ტაშკენტელებს წარმატების შენარჩუნების საშუალება არ მისცა. გაიმარჯვეს ყარაგანდის სპორტსმენებმა — 68:65.

ფ. თუშიშვილი.



მოსკოვში დამთავრდა აშშ-ს, ბულგარეთის, ნორვეგიის, პოლონეთისა და სსრ კავშირის მოცურავეთა საერთაშორისო ტურნირი. ამ შეჯიბრებაში ბრწყინვალედ გამოვიდნენ საბჭოთა სპორტსმენები, რომელთაც დაამყარეს მსოფლიოს 2, ევროპის 1 და 4 საკავშირო რეკორდი. წარმატებით ასპარეზობდა ტოკიოს ოლიმპიადის ოქროს მედალოსანი გ. პროზუმენშჩიკოვა, რომელმაც მართალია, 200 მეტრზე ბრასის სტილით მსოფლიოს რეკორდსმენის წოდება დაკარგა, მაგრამ გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდი იმავე სტილით 100 მეტრზე ცურვაში და აჩვენა — 1.15,7.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: გ. პროზუმენშჩიკოვა.

ფოტო ბ. სვეტლანოვისა.

## სტარტზეა სტუდენტობა

სტუდენტთა V საკავშირო თამაშების დაწყებამდე უმაღლეს სასწავლებელთა და რესპუბლიკურ შეჯიბრებებში მილიონ 400 ათასზე მეტმა სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა. მათგან 2 ათასმა სპორტის ოსტატისა და ოსტატობის კანდიდატის შედეგები აჩვენა ამ საეტაპო ასპარეზობებში. და აი, დადგა ფინალურ შეხვედრათა დღეც. მინსკში უკვე დაიწყო საკავშირო შეჯიბრება, რომელშიც 4300 სტუდენტი-სპორტსმენი მონაწილეობს. ამ ქალაქის 15 სპორტულ ბაზაზე მოასპარეზენი 20 სახეობაში ცდიან ძალას. საკავშირო უნივერსიადაზე დასასწრებად მიწვეული არიან სტუდენტური სპორტის საერთაშორისო ფედერაციისა და სხვადასხვა ქვეყნის სტუდენტურ-სპორტულ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

მინსკის ადგილობრივმა ორგანიზაციებმა და გაზეთების რედაქციებმა გამარჯვებულთათვის დააწესეს 150-ზე მეტი პრიზი. ერთი სიტყვით, ყველაფერი მზადაა — სასტუმროები, ბაზები, პრიზები... ახლა სიტყვა თვით სტუდენტ სპორტსმენებს ეკუთვნით.

ასპარეზობა მაგიდის ჩოგბურთელებმა დაიწყეს. ცხარე ბრძოლა გაჩაღდა კიშინიოვის პოლიტექნიკური და აზერბაიჯანის ნავთობისა და ქიმიის ინსტიტუტების ჩოგბურთელებს შორის. შეხვედრა მოლდაველთა გამარჯვებით დამთავრდა — 9:8.

დღეს ბრძოლაში ჩაებმებიან აკრობატები, თავისუფალი სტილის მოჭიდავენი, ძალოსნები, შემდეგ კი სარბიელზე გამოვლენ მოკრივენი, ფრენბურთელები, მოფარიკავენი, მძლეოსნები, ხელბურთელები და სხვ.

სტუდენტთა თამაშები 5 აგვისტოს დამთავრდება.

# ნაკრების განახლებული შემადგენლობა

გუშინ, ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის მცირე სარბიელზე დაიწყო სტადიონის 10 წლისთავისადმი მიძღვნილი კალათბურთელთა ტურნირი. შეჯიბრებაში მონაწილეობს სსრ კავშირის 2 ნაკრები: მოზრდილთა (მწვრთნელები ა. გომელსკი და ი. ოზეროვი) და ახალგაზრდული (მწვრთნელი ო. ქორქია), აგრეთვე, რსფსრ-ს (მწვრთნელი ვ. რუდაკასი) და უკრაინის (მწვრთნელი ვ. შაბლინსკი) გუნდები.

ჩვენი ქვეყნის ნაკრების შემადგენლობა საფუძვლიანად არის განახლებული. ევროპის 12 ჩემპიონიდან ნაკრებში მხოლოდ 5 მოთამაშე გამოდის — ცენტრალური თავდამსხმელი ი. ლიპსო, თავდამსხმელები გ. ვოლნოვი და მ. პაულაუსკასი, მცველები ა. ტრავინი და ჯ. საკანდელიძე. დანარჩენ 7 ადგილზე პრეტენზიას 9 კალათბურთელი აცხადებს: [illegible] (ლენინგრადის „სპარტაკი"), მ. მედვედევი (მინსკის „სპარტაკი"), ვ. უგრეხელიძე (თბილისის „დინამო"), ა. ტომსონი (ტარტუს „[illegible]"), [illegible] ხევიჩი (მინსკის „სპარტაკი"), ა. კულკოვი (ცსკა), [illegible] („ბურევესტნიკი"), ვ. სალუხინი (კიევის ასკ), ა. ბელოვი (სვერდლოვსკის „ურალმაში").

ტურნირი 22 ივლისს დამთავრდება.



# ელექტრომატარებლით... გამოქვაბულში

ივერიის მთის წვერზე აღმართული ციხე-სიმაგრიდან ახალი ათონის, მისი ლამაზი შემოგარენის, შავი ზღვის, თვალწარმტაცი ხედი იშლება. მაგრამ იოლი როდია მთის ციცაბო ბილიკებით 340 მეტრის სიმაღლეზე ასვლა. სწორედ ამიტომ, უახლოეს მომავალში ამ მთაზე საბაგირო გზის გაყვანაა განზრახული. მიწისქვეშა გზა ტურისტებს მიიყვანს ულამაზეს, უნიკალურ გამოქვაბულამდე, რომელიც დღესდღეობით მხოლოდ გამოცდილი სპელეოლოგებისთვის არის ხელმისაწვდომი.

ივერიის მთის უკან უზარმაზარი უფსკრულია, ადგილობრივი მოსახლეობა „უფსკერო ორმოს" რომ ეძახის. 1961 წელს სწორედ ამ უფსკრულის კვლევისას აღმოაჩინეს ქართველმა სპელეოლოგებმა ზღაპრული სილამაზის გამოქვაბული, რომლის სიგრძე 500 მეტრს აღემატება. ჯერჯერობით ამ გამოქვაბულისკენ ერთადერთი გზაა ვიწრო ხვრელი, რომელიც უფსკრულის ძირს მიუყვება.

მიწისქვეშა სასახლე 9 დარბაზისგან შედგება. პირველაღმომჩენთა უფლებით, სპელეოლოგებმა მათ „თბილისის", „აფხაზეთის", „ქართველ სპელეოლოგთა დარბაზი" და სხვა, დაარქვეს. მათი სიმაღლე 10-დან 70 მეტრს აღწევს. ორგან აღმოჩენილია პატარა ტბები. ურიცხვი სტალაგმიტითა და სტალაქტიტით დამშვენებული დარბაზები ერთმანეთთან დერეფნებით არის დაკავშირებული.

წინასწარი ვარაუდით, ივერიის გამოქვაბულის „ასაკი" მილიონნახევარი წლით განისაზღვრება. როგორც ჩანს, ოდესღაც მის დარბაზებში მიქუხდა მდინარეც, რომელმაც მიწისქვეშა დარბაზებს მოსაგონრად პატარა ტბები დაუტოვა.

„საქქალაქმშენსახპროექტის" თბილისის ინსტიტუტში დამუშავეს ამ საინტერესო გამოქვაბულის ათვისებისა და კეთილმოწყობის პროექტი. აი, რა გვითხრეს პროექტის მთავარმა არქიტექტორმა თ. მარკოზაშვილმა და მთავარმა ინჟინერმა რ. რიჟინაშვილმა:

— განზრახული გვაქვს სამუშაოთა დიდი და რთული კომპლექსის განხორციელება. გამოქვაბულის დარბაზებსა და დერეფნებში გაიყვანენ ბილიკებსა და ესტაკადებს. მოეწყობა მოედნები. გამოიყენებენ თვალისთვის უხილავ მანათობლებს. განათება ისე მოეწყობა, რომ უფრო ნათლად გამოჩნდეს მიწისქვეშა სასახლის სილამაზე.

ვფიქრობთ, კარგადაა გადაწყვეტილი გამოქვაბულის მისასვლელი: ელექტრომატარებელი ტურისტებს 1300 მეტრის სიგრძის გვირაბს გაატარებს და საგანგებო ბაქანზე გაიყვანს. გამოქვაბულის დათვალიერება პირველი დარბაზიდან იწყება და ერთ საათს მაინც გაგრძელდება.

ტურისტები იმოგზაურებენ ღია მატარებლით (ელმავალი აკუმულატორით იმუშავებს). მიწისზედა სადგური გაშენდება ივერიის მთის ძირას. გვირაბი მთაში გაიჭრება.

ამ უნიკალური პროექტის განხორციელება „თბილგვირაბმშენის" კოლექტივს აქვს დავალებული. სამუშაოთა წარმოება წლეულს დაიწყება.

**ვ. ვენაძე.**

• • •

სურათზე: მიწისქვეშა სასახლის ხედი.

## ოსტატის ტრიბუნა

# შევისწავლოთ ახალი ილეთები

დიდი ხანი როდია მას შემდეგ, რაც თვლიდნენ, რომ ბჯენით ხტომებში ყველა ილეთი ამოიწურა. მაგრამ იაპონელ იამასიტას „კარგი ფეხით" მდგომარეობა ძირფესვიანად შეიცვალა. გაუმჯობესდა ტექნიკა, გაიზარდა მოთხოვნები. ასე მაგალითად, ფინალში 10 ქულიდან შეფასდება მხოლოდ 360-გრადუსიანი ბრუნით, 9,6 ქულიდან — 180-გრადუსიანი ბრუნით, ხოლო 9,2 ქულიდან — ბრუნის გარეშე შესრულებული ხტომი.

როგორ პასუხობენ ამ მოთხოვნებს ქართველი ტანმოვარჯიშეები?

მაგალითისთვის ავიღოთ საქართველოს წლევანდელი პირველობა სპორტულ ტანვარჯიშში. ფინალში მოხვედრილი 8 მონაწილიდან მხოლოდ ერთმა (მ. ბოგუსმა) შეასრულა 10 ქულიდან შესაფასებელი ნახტომი და 9,0 ქულა მიიღო. 3 ტანმოვარჯიშე შეფასდა 9,6 ქულიდან და ოთხი — 9,2 ქულიდან.

რა თქმა უნდა, ამ სპორტსმენების ნაჩვენები საბოლოო შედეგიც 9 ქულაზე გაცილებით ნაკლები იყო.

ყოველივე ამაზე იმიტომ ვამახვილებთ ყურადღებას, რომ ჩვენი მწვრთნელები და ტანმოვარჯიშეები ზერელედ ეკიდებიან ბჯენით ხტომებს, ნაკლებ დროს უთმობენ მას, ცოტას ვარჯიშობენ, არ იყენებენ წვრთნის თანამედროვე მეთოდებსა და ხერხებს.

ტანმოვარჯიშეთა დიდი ნაწილი (ოსტატების შესახებ ვლაპარაკობთ) ვერ გრძნობს გარბენის სიგრძეს, სიჩქარეს, ნაბიჯთა რაოდენობას, ფრენის ფაზის ხანგრძლიობას, არეკნზე დახარჯულ დროს და სხვ.

სამაგალითოდ მოგვყავს ახალი, რთული ხტომის კინოგრამა — წინ ყირამალა ტაიჭის წინა ნაწილზე არეკნით, 360-გრადუსიანი ბრუნით. იმედია, ამ ხტომს ინტერესით შეისწავლიან ჩვენი ტანმოვარჯიშეები.

კინოგრამაზე ხტომი ნაჩვენებია მხოლოდ ბოგზე დახტომიდან. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ გარბენი მეორეხარისხოვანია. პირიქით, თანამედროვე ხტომებში მის სიჩქარეს უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ბოგზე დახტომს ტანმოვარჯიშე თითქმის გამართული ფეხებით, შემხვედრი მოძრაობით ასრულებს (კადრი 1-2). ფეხებით არეკნს მკლავების ენერგიული მოძრაობით აძლიერებს, მკლავები თითქმის ზემკლავის მდგომარეობამდეა. არეკნის შემდეგ ტანის მოძრაობას ფეხები უსწრებენ (3-4-5-6). ზეაწევის ბოლო მომენტში (7) ტანმოვარჯიშე ოდნავ ამუხრუჭებს ფეხების მოძრაობას, რის გამოც ხელებით არეკნი ძლიერდება. ტაიჭზე ხელებით შეხებისას ტანი თითქმის ხელყირამდეა მისული (7-8).

ხელებით არეკნი სწრაფად და ენერგიულად სრულდება (0,05-0,2 წამში). ამ დროს სპორტსმენი ოდნავ იხრება წელში (9-10) ისე, რომ ხელებით არეკნი, გამართვა და ბრუნი თითქმის ერთდროულად ხდება. ტანი ტრიალს იწყებს თავისივე ვერტიკალური ღერძის გარშემო (10, 11, 12, 13, 14), რასაც კიდევ უფრო აძლიერებს სხეულის ინერციის შემცირება და მკლავების მკვეთრი მოძრაობა. თუ კინოგრამას კარგად დააკვირდებით (9), ნათლად ჩანს, რომ ტანმოვარჯიშე ბრუნისთვის მზადებას ხელებით არეკნამდე იწყებს.

არეკნთან ერთად თავი ენერგიულად იხრება მკერდისკენ, რაც ხელს უწყობს ბრუნის შესრულებასა და ორიენტაციას.

მეორე ფაზაში (15, 16, 17, 18, 19) ტანმოვარჯიშე აგრძელებს ბრუნს (სპირალურს), მკლავები თითქმის ზემკლავშია, ფეხები კი ძირს ეშვება. ამ დროს დამახასიათებელია ე. წ. კომპენსატორული მოძრაობა, — ფეხების დაშვებას უნდა მოჰყვეს ზეტანის საწინააღმდეგო მოძრაობა, ვინაიდან სხეული უსაყრდენო ფაზაშია. მოძრაობა — ბრუნი თითქოს ცერებიდან იწყება და მთელ ტანს გადაეცემა. ბოლო ფაზა — დახტომი (19, 20, 21, 22) — ფეხების რბილად შეგებება ოდნავ ბუქნითა და სწრაფი გამართვით, დამახასიათებელია ყოველი ხტომისთვის.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს ხტომი თავისი სირთულის გამო კარგ ტექნიკურ და ფიზიკურ მომზადებას, ზუსტ კოორდინაციასა და სივრცეში ორიენტაციას მოითხოვს.

თავდაპირველად კარგ და სწრაფ გარბენს, ხელებითა და ფეხებით არეკნს უნდა შეეჩვიოთ. უშუალოდ ხტომის შესწავლა დაიწყეთ ხარიხაზე და განივად დადგმულ ტაიჭზე (ხელებით არეკნი — 180 და 360-გრადუსიანი ბრუნით).

მთავარი კი, რა თქმა უნდა, მონდომება და გეგმაზომიერი ვარჯიშია. ამ ხტომის შესწავლა შეუძლია ყველა პირველთანრიგოსანს, თუ ხათანადო მომზადება აქვს.

**გ. ყირმელაშვილი,**
საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტის მასობრივ სახეობათა ფაკულტეტის დეკანი, სპორტის ოსტატი.

# 11,5 ქულა — 12-დან

„განთიადის" ცენტრალური საბჭოს მოჭადრაკეთა წლევანდელი ჩემპიონატი, რომელშიც ერთი ოსტატი (ნ. სოროკინი), სამი ოსტატობის კანდიდატი (გ. კალატოზიშვილი, ე. მიქაელიანი, ა. წერეთელი) და 9 პირველთანრიგოსანი მონაწილეობდა, გ. კალატოზიშვილის გამარჯვებით დამთავრდა.

საერთოდ ძნელია თანაბარი ძალის მეტოქეებთან ყოველ პარტიაში მოგებაზე ითამაშო, მაგრამ თბილისელმა მოჭადრაკემ ეს შეძლო და 12-დან 11,5 ქულა დააგროვა.

გ. კალატოზიშვილი მრავალი წლის მანძილზე წარმატებით გამოდის საკავშირო და რესპუბლიკურ ტურნირებში, მაგრამ ვერ იქნა და აქამდე ვერ მოგვარდა სპორტის ოსტატის წოდებისთვის მისი მატჩის გამართვის საკითხი. ნიჭიერმა მოჭადრაკემ კარგა ხანია მოიპოვა ამის უფლება.

კარგად ითამაშა ასპარეზობის უხუცესმა მონაწილემ, 66 წლის ოსტატმა ნ. სოროკინმა, რომელმაც II ადგილი დაიკავა (9,5 ქულა), III ადგილი წილად ხვდა თბილისელ განთიადელთა ჩემპიონს ე. მიქაელიანს (9).

მომდევნო ადგილებზე არიან: ა. ჯაკობია, ა. წერეთელი, ნ. ხუციშვილი, (სამივენი — თბილისიდან) — 6-6, თ. დეკანოზიშვილი (თბილისი), გ. მუკნიაშვილი (გორი), ი. მანაშეროვი (ხაშური) — 5,5-5,5, გ. ლაღიძე (ბათუმი) — 5, ზ. როსტიაშვილი (თბილისი) — 3,5, თ. სვანიძე (ქუთაისი) — 3, ს. სააკიანი (რუსთავი) — 2.

ტურნირის შედეგების გათვალისწინებით დაკომპლექტდება „განთიადის" ცენტრალური საბჭოს გუნდი (6 კაცის შემადგენლობით), რომელიც სექტემბერში ბაქოს გაემგზავრება სსრ კავშირის სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა გუნდურ პირველობაში მონაწილეობის მისაღებად.

# ი. ტყაბლაძე — პირველი ჩემპიონი

ჩვენი სპორტის ისტორიაში პირველად მოეწყო საქართველოს ქალთა ჩემპიონატი შაშში.

ბრძოლა უაღრესად დაძაბული იყო. ფინიშზე დაწინაურდა 17 წლის ქუთაისელი მოსწავლე იამზე ტყაბლაძე. ლიდერის დაწევა შეეძლო მხოლოდ ლ. ზოდელავას (ფოთი), მაგრამ ასპარეზობის ბოლო დღეს ამ უკანასკნელმა წააგო თანაქალაქელ ლ. ფინიკოპულოსთან და საქართველოს პირველი ჩემპიონის სახელს ი. ტყაბლაძე დაეუფლა.

აი, ჩემპიონატის საბოლოო შედეგები: I. ი. ტყაბლაძე — 10,5 ქულა, II-III. ლ. ზოდელავა, ე. ბარამაშვილი (თბილისი) — 9-9, IV. ლ. რამაზანოვა (თბილისი) — 8,5, V. ლ. ფინიკოპულო — 8, VI. რ. ხაგუში (სოხუმი) — 7,5, VII. მ. ჩანტლაძე (ფოთი) — 6,5, VIII. ე. ფუხაშვილი (გარდაბანი) — 6, IX. ი. მემარნიშვილი (თბილისი) — 5,5, X. ე. შვედოვა (თბილისი) — 3,5, XI. ი. კოტიკოვა (რუსთავი) — 2, XII-XIII. რ. საფარიანი (თბილისი), ზ. პუხაევა (ცხინვალი) — 1-1.

— ამ ბოლო ხანს ქუთაისის, ფოთის, ცხინვალისა და თბილისის სპორტულ სკოლებში დიდი ყურადღება ექცევა შაშის განვითარებას. ასპარეზზე ნიჭიერი გოგონების — ი. ტყაბლაძის, ლ. ზოდელავას, რ. ხაგუშის, ი. მემარნიშვილის, ლ. ფინიკოპულოს და სხვების გამოსვლა სწორედ ამ ნაყოფიერი მეცადინეობის შედეგია, — ამბობს ჩემპიონატის მთავარი მსაჯი გ. ოსიპოვი.

განსაკუთრებით ქების ღირსია ი. ტყაბლაძე. ბოლო წლებში ქუთაისში მტკიცედ მოიკიდა ფეხი შაშმა. სისტემატურად იწყობა ტურნირები, მატჩები. ქუთაისის მოწინავე მოშაშეები სერიოზულად ეკიდებიან ახალგაზრდებთან მეცადინეობას, ზრუნავენ მათი ოსტატობის დონის ამაღლებისთვის. ამას ადასტურებს თუნდაც ი. ტყაბლაძის წარმატება, რომელმაც უზადო ნიჭი, მონდომება და კარგი ცოდნა გამოამჟღავნა.

ამჟამად ახალგაზრდა სპორტსმენი რიგაშია. და სსრ კავშირის ნორჩ მოშაშეთა პირად-გუნდურ პირველობაში მონაწილეობს, როგორც საქართველოს ნაკრები გუნდის (ვ. ნინუა, მ. მოძღვრიშვილი, ბ. ლოსაბერიძე) წევრი.

პირველობამ ცხადყო, რომ უახლოეს მომავალში ქართველი მოშაშე ქალები ალბათ დიდ სარბიელზეც გვასახელებენ. საჭიროა მხოლოდ ხელი შევუწყოთ მათი ნიჭის გაფურჩქვნას.

**ნ. იმედაშვილი.**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# VIII მსოფლიო ჩემპიონატი

ENGLAND 1966 ფეხბურთი VIII ინგლისი



# დამხობილი მეფენი

ლივერპული, 20 ივლისი (საკდესის სპეც. კორ.). ბრაზილიელთა მდგომარეობა პორტუგალიის ნაკრებთან შეხვედრის წინ უკიდურესად მძიმე იყო: მსოფლიოს ორგზის ჩემპიონთა ხსნა შეეძლო მხოლოდ სასწაულს, თუ არა და, მათ ბილეთების შეკვეთა უნდა მიეცათ შინ დასაბრუნებლად.

საბჭოთა ჟურნალისტთა დიდმა ჯგუფმა ულალატა „თავის" მიდლსბროს და თითქმის მთელი ინგლისი გადასერა, რათა ლივერპულში დასწრებოდა თანამედროვეობის ორი გამოჩენილი ფორვარდის — ეუსებიოსა და პელეს ორთაბრძოლას. სწორედ ამ ფეხბურთელებს შეუძლიათ აიყვანონ თავიანთი გუნდები მსოფლიო ფეხბურთის მწვერვალამდე. პორტუგალიელებმა მინდორზე ძირითადი შემადგენლობა გამოიყვანეს, ბრაზილიელებმა კი ფაქტიურად სრულიად ახალი გუნდი შექმნეს, საიდანაც მხოლოდ ორნი მონაწილეობდნენ უნგრელებთან მატჩში. მაგრამ ვერც ამ გადახალისებამ განამტკიცა, როგორც ეს საჭიროა, ბრაზილიელთა ყველაზე სუსტი რგოლი — დაცვა, ხოლო მეკარე მანგამ დაუშვა უხეში შეცდომები, რომლებიც ბრაზილიელებს 2 გოლის ფასად დაუჯდათ.

ორგზის ჩემპიონები მთავარ იმედს ამყარებდნენ თავიანთ „შავ მარგალიტზე". „დეილი ექსპრესი" წერდა: „პორტუგალიელებს განზრახული აქვთ განუჭვრეტი საბანი გადაახურონ პელეს და ამ საბნის სახელია ვისენტე". და მართლაც, ვისენტე, რომელსაც 6 მატჩიდან ხუთჯერ ჰყავს გამოთიშული თამაშიდან „ფეხბურთის მეფე", ფეხმოუცილებლად თან სდევდა პელეს მთელ მინდორზე.

მატჩი უკიდურესად დაძაბულ, ნერვულ ვითარებაში დაიწყო. მანგამ უკვე პირველ წუთზე ვერ შეძლო საჯარიმოდან დარტყმული ბურთის აღება და ბრაზილიელებმა გაჭირვებით მოიგერიეს ხიფათი. ეუსებიოსა და ტორესს ნამდვილი პანიკა შეჰქონდათ სამხრეთამერიკელთა დაცვაში. მე-15 წუთზე მანგამ ცუდად მოიგერია ეუსებიოს მიერ დარტყმული ბურთი და პორტუგალიელთა მარცხენა გარემარბმა სიმოესმა თავით გაგზავნა იგი ბადეში — 1:0.

პელეს ისედაც არ გამოსდიოდა თამაში. ამას დაემატა ისიც, რომ მის წინააღმდეგ სისტემატურად მიმართავდნენ უხეშ ილეთებს. და პელე მინდორზე უფრო მეტ ხანს იწვა, ვიდრე თამაშობდა. ერთ-ერთი ასეთი „მეურვეობის" შემდეგ პელე ხელით გაიტანეს მოედნიდან, მართალია, შემდეგში იგი დაბრუნდა უკან, მაგრამ კოჭლობდა, ვერ დარბოდა და ფაქტიურად გამოთიშული იყო თამაშიდან.

26-ე წუთზე მანგა შეცდომით გამოვიდა კარიდან, ცენტრალურმა მცველმა ორლანდომ ვერ შეარჩია ადგილი და ეუსებიომ თავით გაიტანა მეორე ბურთი — 2:0.

ბრაზილიელები მხოლოდ ახლა ათამაშდნენ, როგორც ეს ჩემპიონებს ეკადრებათ და 73-ე წუთზე დაცვის განლაგებიდან წინ გამოსულმა რილდომ მოულოდნელად დაარტყა შორეულ კუთხეში — 1:2.

მაგრამ ეს იყო მაქსიმუმი, რაც შეძლეს ბრაზილიელებმა. როცა მსაჯის ფინალურ სასტვენს 4 წუთი აკლდა, ეუსებიომ შესანიშნავი დარტყმით მესამე ბურთი გაიტანა ჩემპიონთა კარში — 3:1.

ბრაზილიის ნაკრებს 8 წელი ზედიზედ ეპყრა საფეხბურთო მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალი, ამ მატჩში კი ჩვენ ვიხილეთ დამხობილი მეფენი.

ლონდონი, 20 ივლისი (საკდესის სპეც. კორ.). „უემბლის" მინდორზე ერთმანეთს შეხვდნენ მექსიკისა და ურუგვაის გუნდები. უკვე პირველივე წუთებზე ცხადი შეიქნა, რომ მექსიკელებს განზრახული აქვთ არ გაუშვან ხელიდან მეოთხედფინალში გასვლის შესაძლებლობა. მათ შეტევით დაიწყეს თამაში და მე-10 წუთზე ურუგვაელთა კარი ძლივს იხსნა. მცირე ხანს შემდეგ მაზურკევიჩმა აიღო ძალზე ძნელი ბურთი. მალე ურუგვაელთა კარი კვლავ გადარჩა აშკარა გოლს.

მეორე ტაიმში ურუგვაის თავდასხმა რამდენადმე გააქტიურდა, მაგრამ ანგარიში მაინც არ გახსნილა. ეს ფრე სავსებით უწყობდა ხელს ურუგვაელებს, რომლებიც გავიდნენ მეოთხედფინალში.

სანდერლენდი, 20 ივლისი (საკდესის სპეც. კორ.). იტალიის ნაკრების გამოსვლას მსოფლიო ჩემპიონატში საერთაშორისო საფეხბურთო წრეები დიდი ინტერესით მოელოდნენ. თვით იტალიელებიც ძალზე მაღლა აფასებდნენ თავიანთი გუნდის შანსებს და არც მალავდნენ, რომ იგი მიაჩნიათ პირველი ადგილის ერთ-ერთ უდავო პრეტენდენტად.

მაგრამ მოხდა სენსაცია: კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ფეხბურთელებმა უმაგალითო ენერგია და თავდადება გამოიჩინეს. მათ მაქსიმალური დაძაბვით ჩაატარეს 90 წუთი და დაამარცხეს თავიანთი მრისხანე მეტოქეები ანგარიშით 1:0.



მსოფლიო ჩემპიონატის დაწყების წინ პორტუგალიის ნაკრების მწვრთნელმა ო. გლორიამ განაცხადა: „დადგება ბრაზილიელებთან თამაშის დღეც. მაგრამ ჩვენ ამ დროისათვის მეოთხედფინალში გასვლა უკვე გარანტირებული გვექნება".

მწვრთნელის სიტყვები მხოლოდ ნაწილობრივ გამართლდა. ბრაზილიელებთან ბრძოლის წინ პორტუგალიას განაღდებული ჰქონდა მეოთხედფინალში თამაში მხოლოდ 70-80 პროცენტით.

ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატში პორტუგალია 1934 წლიდან მონაწილეობს. ფინალისაკენ გზა პირველად მას იტალიელებმა გადაუღობეს. 4 წლის შემდეგ პორტუგალიის ნაკრებს უგებს შვეიცარიის გუნდი. 1950 წელს პორტუგალიელები კვლავ იტალიელებმა დაამარცხეს, ხოლო გასულ ჩემპიონატში — ინგლისელებმა. და აი, ამ ქვეყნის ეროვნული ნაკრების მწვრთნელად მოწვეულ იქნა ბრაზილიელი გლორია. ახალმა მწვრთნელმა, რომელიც კარგად იცნობს ბრაზილიურ ფეხბურთს და ამავე დროს ევროპული ფეხბურთის დიდ სპეციალისტადაც ითვლება, ახლებურად წარმართა პორტუგალიის ნაკრების მზადება. ასე მაგალითად, თავდასხმა მან მთლიანად „ბენფიკას" ფეხბურთელებით დააკომპლექტა (ეუსებიო, აუგუსტო, კოლუნა, ტორესი და სიმოესი), თავდაცვა კი მან ევროპული სტილით აათამაშა (ამაში გლორიას დაეხმარა საფრანგეთის ეროვნული ნაკრების მწვრთნელობის გამოცდილება). მწვრთნელის თამამმა ექსპერიმენტმა გაამართლა. პორტუგალიელებმა ჯერ კიდევ ქვეჯგუფში დაიკავეს პირველი ადგილი და ახლა პირველობის ერთ-ერთ მთავარ პრეტენდენტად ითვლებიან.

სურათზე: პორტუგალიის ნაკრების მწვრთნელი ო. გლორია.

ჟურნალისტთა და მწვრთნელთა საერთო აღიარებით, პორტუგალიის ნაკრების ცენტრალური თავდამსხმელი „შავ ჯიქად" წოდებული ეუსებიო დღესდღეობით მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშეა. მოზამბიკელ ჭაბუკს — ეუსებიოს აქვს ყველაფერი, რაც თანამედროვე ფეხბურთის ვარსკვლავს სჭირდება: სისწრაფე, ძლიერი დარტყმები, დახვეწილი ტექნიკა და საღი ტაქტიკური აზროვნება. პორტუგალიის ნაკრების კარს ინგლისში იცავს მეკარე პერეირა, რომელიც, რა თქმა უნდა, თამაშის კლასით ჩამორჩება თავის სახელგანთქმულ თანამოგვარეს, კოსტა პერეირას, მაგრამ საკმაოდ კარგად შეეთვისა კოლექტივს და საიმედოდაც მოქმედებს.

სურათზე: (მარცხნიდან) ეუსებიო და პერეირა.



## მხოლოდ ურუგვაელები

როგორც ცნობილია, გუნდს, რომელიც სამჯერ მოიპოვებს მსოფლიო ჩემპიონობას, სამუდამო მფლობელობაში გადაეცემა „ჟიულ რიმეს" თასი — ოქროს ქალღმერთის, ნიკეს ქანდაკება.

ჩემპიონატის დაწყების წინ ასეთი გუნდები, რომლებსაც შეეძლოთ სამუდამოდ მოეპოვებინათ ეს უძვირფასესი პრიზი, იყო 3: ბრაზილია, იტალია და ურუგვაი, რომლებსაც ადრე 2-2-ჯერ ჰქონდათ დაკავებული პირველი ადგილები მსოფლიო ჩემპიონატებში. უპირველესი ფავორიტები — ბრაზილიელები გამოეთიშნენ ბრძოლას ჯერ კიდევ მერვედფინალში. ასეთივე ბედი ეწვიათ იტალიელებს, რომლებმაც ვერაფერი აჩვენეს VIII ჩემპიონატში და 2 მატჩიც წააგეს.

დარჩა მხოლოდ ერთი გუნდი, რომელსაც აქვს შესაძლებლობა სამუდამოდ დაეუფლოს ოქროს ქალღმერთის თასს. ესაა ურუგვაი. თუ ურუგვაელებმაც მარცხი განიცადეს გათამაშების შემდგომ მსვლელობაში, ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციას აღარ დაჭირდება ახალი თასის დამზადებაზე ფიქრი.



გამოთხოვება.

ნახ. გ. იაშვილისა.

## „დაველოდოთ მომავალ ჩემპიონატს!"

„მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი — ბრაზილიის ნაკრები მეოთხედფინალში არ ითამაშებს!" — ასეთი და მსგავსი სათაურებით იყო აჭრელებული გუშინ ლონდონის გაზეთების უმეტესობა. სხვათა შორის, ჩემპიონის ბედი გაიზიარა „სკუადრა აძურაც", რომელიც ასევე, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონია და რომელსაც ბრაზილიის ნაკრების მსგავსად ჰქონდა შანსი „ჟიულ რიმეს" თასის მუდმივი მფლობელი გამხდარიყო. მაგრამ ჩემპიონატის მთავარი სენსაცია მაინც ბრაზილიელთა კრახია.

პორტუგალია — ბრაზილიის თამაშის მატჩის დამთავრებისთანავე გამოქვეყნდა ფართო კომენტარი ცნობილმა ბრაზილიელმა ჟურნალისტმა ე. ჟაერსმა, რომელმაც ჯერ კიდევ შარშან მკაცრად გააკრიტიკა მსოფლიო ჩემპიონის თამაში. აი, რა განაცხადა მან მატჩის შემდეგ:

„რამდენადაც საწყენი არ უნდა იყოს ჩვენთვის ბრაზილიის ნაკრების ესოდენ დიდი მარცხი, იგი მაინც კანონზომიერი მოვლენაა. ჩვენი გუნდის ფიასკო იმ შეცდომათა ლოგიკური შედეგია, რომელთაც კარგა ხანია იჩინეს თავი და რომელთა შესახებ ხმამაღლა ლაპარაკს ბრაზილიაში ვერავინ ბედავდა.

უბედურების თავი და ბოლო არიან ბრაზილიის ფეხბურთის გულშემატკივრები, რომლებიც, სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის 80 პროცენტს შეადგენენ. ნაკრების ორგზის გამარჯვების შემდეგ ჩვენ, ბრაზილიელებმა დავკარგეთ ობიექტურობის გრძნობა. გუნდი დაემსგავსა ციხე-სიმაგრეს, რომლის კედლებზე იმსხვრეოდა კრიტიკის ყოველგვარი ისრები. ოპტიმისტური ტონი მაყურებლებიდან ფეხბურთელებს გადაედოთ, ფეხბურთელებიდან — ჟურნალისტებს, ხოლო ამ უკანასკნელთაგან — მწვრთნელებს.

არავინ მიაქცია ყურადღება იმ გამაფრთხილებელ ნიშნებს, რაც „მარაკანას" სტადიონიდან მოდიოდა (როგორც ჩანს, ე. ჟაერსს მხედველობაში აქვს ბრაზილიელთა ფრე სსრ კავშირის ნაკრებთან. რედ.). ყურადღება არ მიაქციეს წინასაჩემპიონატო საკონტროლო შეხვედრების შედეგებს. ნაკრების წევრები და ხელმძღვანელობა თავს არხეინად გრძნობდნენ და საკმაოდ პრეტენზიულ პროგნოზებსაც კი არ ერიდებოდნენ.

საბანგაში, კი, რა თქმა უნდა, ბევრი რამ იყო. მართალია, ჩვენი კოლეგები ამის შესახებ დუმდნენ, მაგრამ მწვრთნელს — ვ. ფეოლას და ნაკრების სხვა ხელმძღვანელებს უფლება არ ჰქონდათ გვერდი აევლოთ ევროპის გამაფრთხილებელი ხმისთვის. ჩვენ გვეშინოდა, ვერ ვბედავდით, ევროპის პრესა კი ხმამაღლა აცხადებდა, რომ ბრაზილიის ნაკრები აღარ არის ის, რაც 1958 და 1962 წლებში, რომ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის დაცვა სუსტია და რომ არც თავდასხმა გამოიყურება მასზე უკეთ.

პელე ამ ბოლო ხანებში უფრო თავის ნატკენ ფეხს უვლის, ვიდრე თამაშობს. არასდროს არ ყოფილა გარინჩა ასე უსუსური და უმოქმედო, როგორც ლონდონში. ბრაზილიელებმა ფინალურ ტურნირში ფაქტიურად ერთი ბურთი გაიტანეს (პორტუგალიის კარში). ამ გოლის ავტორიც მცველი რილდო იყო. სამი დანარჩენი გოლი საჯარიმო დარტყმების შედეგად გავიდა. განა შეიძლება თავდასხმის ასეთი თამაშით ჩემპიონობაზე ფიქრი?

ბრაზილია არ ითამაშებს მეოთხედფინალში. ოქროს ქალღმერთმა მკაცრი, მაგრამ კანონიერი განაჩენი გამოუტანა მის მფლობელს. წარმოდგენილი მაქვს, რა ხდება დღეს ბრაზილიაში. მაგრამ ეს კრახი ჩვენი გულშემატკივრებისთვის კარგი გაკვეთილი უნდა იყოს და განა მარტო მათთვის — მწვრთნელებისთვისაც, ფეხბურთელებისთვისაც. თუ ბრაზილია გონივრულად და ვაჟკაცურად გადაიტანს ამ მარცხს, დარწმუნებული ვარ, რომ მას კიდევ არაერთხელ გაუღიმებს ოქროს ქალღმერთი. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს აქვს საამისო ძალა და გამოცდილება. დაველოდოთ მომავალ ჩემპიონატს".

● პრაღა. ევროპაში მოგზაურობის შემდეგ, ავსტრალიელი რ. კლარკი, რომელმაც რამდენიმე შეჯიბრებაში მიიღო მონაწილეობა და საკმაოდ მაღალ შედეგებსაც მიაღწია, პარიზიდან პრაღას ესტუმრა. თვითმფრინავიდან გადმოსვლის 45 წუთის შემდეგ იგი გამოვიდა „სლავიას" სტადიონზე და სტარტი აიღო 3.000 მეტრზე რბენაში. კლარკი კვლავ პირველი იყო ფინიშთან — 7.56,0.

● ვისბადენი (გფრ). მსოფლიოს უძლიერეს მსროლელთა ჩემპიონატზე გათამაშდა ოქროს მედლები მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სროლაში სტანდარტზე 3×20 ვაჟებში გაიმარჯვა ამერიკელმა დ. ადამსმა, რომელმაც 600 შესაძლებლიდან 567 სამიზნე დააზიანა. II ადგილი დაიკავა გ. ანდერსონმა (აშშ) — 565, III — პ. ზომერმა (გდრ) — 562, გუნდური საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. აშშ, 2. სსრ კავშირი, 3. გდრ, 4. უნგრეთი და ა. შ. ქალებში ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა მ. ტომპსონმა (აშშ) — 558. II ადგილზეა ა. გოტი (გფრ) — 545, III — ტ. რიაბინსკაია (სსრ კავშირი) — 544.

მესტენდურეები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სატრანშეო სტენდზე გუნდურ სროლაში 200 მფრინავი თეფშის დასამსხვრევად. I ადგილი დაიკავა ამერიკის შეერთებული შტატების გუნდმა — 768 (800 შესაძლებლიდან). II ადგილზეა რუმინეთის გუნდი — 764, III — სსრ კავშირის სპორტსმენები — 757. მსოფლიო ჩემპიონატზე უკვე გათამაშდა 21 სახეობა. ჯერჯერობით ყველაზე მეტი მედალი დააგროვეს ამერიკელმა სპორტსმენებმა — 16 (ოქროს 10, ვერცხლის — 4, ბრინჯაოსი — 2). შემდეგ მოდიან სსრ კავშირი — 16 (4+6+6), პოლონეთი — 8 (2+3+3).

● მიუნხენი. გფრ-ისა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ჩოგბურთელთა მატჩი დევისის თასზე შეწყვეტილი იყო უამინდობის გამო, როცა ანგარიში მასპინძლებს მიჰყავდათ — 2:1. დარჩენილი პარტიების დამთავრებისას ანგარიში გახდა 3:2 გფრ-ის გუნდის სასარგებლოდ. გერმანელი ჩოგბურთელები შეხვდებიან აზიის ზონაში გამარჯვებულებს, სადაც ფინალში უნდა ითამაშონ იაპონიისა და ინდოეთის წარმომადგენლებმა. ბრაზილიელების მეტოქე იქნება მექსიკა — აშშ-ის შეხვედრაში გამარჯვებული.

## ბათუმი

ადგილობრივი ზღვისპირა პარკის სპორტულ მოედანზე გაიმართა „სპარტაკის" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონატი ფრენბურთში მოზარდ სპორტსმენებს შორის. ჭაბუკებში I ადგილი მიიპოვეს მოსკოველებმა, II — ალმაათელებმა, III — ქიტომირელებმა. გოგონებში ყველას აჯობეს ირკუტსკელებმა, II ადგილი წილად ხვდათ მოსკოველებს. მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია ბათუმის გუნდმა, რომელმაც III საპრიზო ადგილი დაიკავა.

ა. ჩანტლაძე.

## ფ. გონდე — ბომბარდირი

ფრანგ ფეხბურთელს ფ. გონდეს კარგად იცნობენ ჩვენი ქვეყნის ფეხბურთის მოყვარულები. მიმდინარე წლის 5 ივნისის მატჩში, რომელიც მოსკოვში ჩატარდა, გონდემ საბჭოთა ნაკრების კარში გოლი გაიტანა, მაგრამ საინტერესო ეს კი არ არის.

მოსკოვში ჩამოსვლამდე გონდე, რომელიც „ნანტში" თამაშობს, თავისი ქვეყნის ჩემპიონატის ძლიერესი ბომბარდირი იყო (33 ბურთი). მოსკოვიდან დაბრუნებულმა ფეხბურთელმა მონაწილეობა მიიღო „კანის" წინააღმდეგ მატჩში და სარეკორდო ბალანსი კიდევ 3 ბურთით გაზარდა. ამრიგად, ახალგაზრდა ფორვარდს საფრანგეთის ჩემპიონატის 38 მატჩში 36 ბურთი აქვს გატანილი. ეს შედეგი ფრანგული ფეხბურთის აბსოლუტური რეკორდია.

ფეხბურთი

### სსრ კავშირის პირველობა

# მინიმალური ანგარიშით

გუშინ დონეცკში სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში ადგილობრივმა „შახტიორმა" მიიღო თბილისის „დინამო".

პირველ ტაიმში ორივე გუნდმა ასე თუ ისე, საინტერესო თამაში აჩვენა. საგოლე მომენტები იქმნებოდა, როგორც სტუმართა, ისე მასპინძელთა კართან და თუ ბურთი გატანილ არ იქნა, ეს ორივე მეკარის დამსახურებაა. ტაიმის მიწურულს ურუშაძემ აშკარა გოლისგან იხსნა კარი.

შესვენების შემდეგ მასპინძლები გააფთრებით ეკვეთნენ სტუმრების კარს და ერთ-ერთი ასეთი შეტევა გოლით დააგვირგვინეს. ბურთის ავტორია ორლოვი. დარჩენილ დროში დინამოელებს ჰქონდათ კარის აღების რამდენიმე საშუალება, მაგრამ ასათიანის, მაისურაძის და სხვათა დამამთავრებელი დარტყმები უზუსტო იყო. თამაშის ბოლოს მასპინძლები გააქტიურდნენ, მაგრამ ვერც მათ შეძლეს ანგარიშის გაზრდა. გაიმარჯვეს დონეცკელებმა — 1:0.

თბილისელები ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ: ურუშაძე, პეტრიაშვილი, ჰელიძე, რეხვიაშვილი, ცხოვრებოვი, ილიადი, დათუნაშვილი, მაისურაძე, ასათიანი, იამანიძე, მესხი. ამავე გუნდების დუბლიორთა მატჩში გაიმარჯვეს თბილისელებმა — 4:3.

### გათამაშების ცხრილი

„ა" კლასი, I ჯგუფი

მდგომარეობა 21 ივლისისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (კიევი) | 16 | 11 | 5 | 0 | 36—5 | 27 |
| „პახტაკორი" (ტაშკენტი) | 17 | 7 | 10 | 0 | 19—11 | 24 |
| ცსკა | 17 | 8 | 6 | 3 | 36—24 | 22 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 16 | 8 | 6 | 2 | 23—12 | 22 |
| ასკ (როსტოვი) | 17 | 10 | 1 | 6 | 28—27 | 21 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 17 | 7 | 6 | 4 | 28—19 | 20 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 17 | 7 | 4 | 6 | 24—18 | 18 |
| „კაირატი" (ალმა-ათა) | 17 | 8 | 2 | 7 | 19—20 | 18 |
| „ნეფტიანიკი" (ბაქო) | 16 | 6 | 5 | 5 | 22—13 | 17 |
| „დინამო" (თბილისი) | 17 | 6 | 5 | 6 | 17—15 | 17 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 17 | 7 | 3 | 7 | 23—27 | 17 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 17 | 6 | 3 | 8 | 16—21 | 15 |
| „დინამო" (მინსკი) | 17 | 4 | 7 | 6 | 15—21 | 15 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 18 | 6 | 3 | 9 | 24—32 | 15 |
| „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 17 | 4 | 6 | 7 | 18—22 | 14 |
| „არარატი" (ერევანი) | 16 | 5 | 4 | 7 | 15—25 | 14 |
| „კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი) | 17 | 2 | 6 | 9 | 12—28 | 10 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 17 | 3 | 1 | 13 | 13—29 | 7 |
| ასკ (ოდესა) | 17 | 1 | 5 | 11 | 9—28 | 7 |

* * *

„ჩერნომორეცი" — ცსკა 3:5.

„პახტაკორი" — „ლოკომოტივი" 1:0

„კრ. სოვეტოვი" — ასკ (როსტოვი) 0:1.

ფეხბურთი

### საქართველოს ჩემპიონატი

გაიმართა მორიგი ტურის მატჩები საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში. მოგვყავს ტურის ტექნიკური შედეგები:

**I ჯგუფი, I ზონა.** „ტორპედო" (გაგრა) — „მეტალურგი" (ზესტაფონი) 1:2, „სინათლე" (თბილისი) — „განთიადი" (ბორჯომი) 2:1, „მესხეთი" (ახალციხე) — „ოდიში" (ზუგდიდი) 2:2, „დინამო" I (თბილისი) — „მაღაროელი" (ჭიათურა) 1:2, „ისანი" (თბილისი) — „ქართლი" (გორი) 1:4.

**II ზონა.** „დინამო" (ქუთაისი) — „მერცხალი" (მახარაძე) 2:8, „კოლხეთი" (ცხაკაია) — „ლოკომოტივი" (სამტრედია) 2:1, „გურია" (ლანჩხუთი) — ასკ (თბილისი) 1:1, „შუქურა" (ქობულეთი) — „ბახმარო" (ჩოხატაური) 4:1, „ნარინჯი" (ბათუმი) — „მეშახტე" (ტყვარჩელი) 2:1, ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „კოლმეურნე" (წალენჯიხა) 1:0.

**I ჯგუფის II ქვეჯგუფი. I ზონა.** „არაგვი" (მცხეთა) — „ბახტრიონი" (ახმეტა) 2:2, „არაგვი" (დუშეთი) —„ალაზანმშენი" (თელავი) 3:4. „შირაქი" (წითელწყარო) — „მეტალურგი" (რუსთავი) 1:0. საგარეჯოს „გარეჯს" გამარჯვება ჩაეთვალა მარნეულის „კოლმეურნესთან", ხოლო ყვარლის „დურუჯს" — წალკის „თრიალეთთან".

**II ზონა.** „ცისკარა" (ბათუმი) — „აერო" (გალი) 2:3, „ცისარტყელა" (თბილისი) — „სალხინო" (გეგეჭკორი) 1:2, „მშენებელი" (ჭიათურა) — „კოლხეთი" (ხობი) 1:4, „ლაითური" (მახარაძე)—„ჩიხურა" (საჩხერე) 1:0, „საირმე" (მაიაკოვსკი) — „მექანიზატორი" (ფოთი) 6:3.

### გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 21 ივლისისათვის

I ჯგუფის I ქვეჯგუფი

I ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეტალურგი" (ზესტაფონი) | 18 | 13 | 3 | 2 | 34—12 | 29 |
| „სინათლე" (თბილისი) | 18 | 12 | 4 | 2 | 38—13 | 28 |
| „მესხეთი" (ახალციხე) | 17 | 7 | 9 | 1 | 25—12 | 23 |
| „განთიადი" (ბორჯომი) | 17 | 9 | 4 | 4 | 17—15 | 22 |
| „ფეიქარი" (წულუკიძე) | 17 | 8 | 4 | 5 | 29—19 | 20 |
| „ქართლი" (გორი) | 18 | 7 | 5 | 6 | 23—21 | 19 |
| „მაღაროელი" (ჭიათურა) | 18 | 5 | 6 | 7 | 15—16 | 16 |
| „ისანი" (თბილისი) | 17 | 4 | 6 | 7 | 13—18 | 14 |
| „ირისთონი" (ცხინვალი) | 16 | 5 | 4 | 7 | 13—20 | 14 |
| „ოდიში" (ზუგდიდი) | 18 | 5 | 4 | 9 | 21—36 | 14 |
| „ტორპედო" (გაგრა) | 16 | 2 | 2 | 12 | 17—28 | 6 |
| „დინამო" I (თბილისი) | 17 | 1 | 0 | 16 | 16—42 | 2 |

II ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „გურია" (ლანჩხუთი) | 18 | 8 | 8 | 2 | 26—10 | 24 |
| „კოლმეურნე" (წალენჯიხა) | 18 | 9 | 5 | 4 | 21—14 | 23 |
| „მერცხალი" (მახარაძე) | 17 | 8 | 6 | 3 | 33—18 | 22 |
| „კოლხეთი" (ცხაკაია) | 18 | 9 | 4 | 5 | 27—22 | 22 |
| ასკ (თბილისი) | 18 | 6 | 8 | 4 | 22—14 | 20 |
| ფიზკ. ინსტ. (თბილისი) | 16 | 7 | 5 | 4 | 26—17 | 19 |
| „შუქურა" (ქობულეთი) | 17 | 6 | 7 | 4 | 18—16 | 19 |
| „ნარინჯი" (ბათუმი) | 18 | 4 | 11 | 3 | 17—15 | 19 |
| „ლოკომოტივი" (სამტრედია) | 18 | 5 | 8 | 5 | 20—22 | 18 |
| „მეშახტე" (ტყვარჩელი) | 17 | 5 | 3 | 9 | 19—21 | 13 |
| „ბახმარო" (ჩოხატაური) | 18 | 2 | 6 | 10 | 19—35 | 10 |
| „დინამო" (ქუთაისი) | 17 | 0 | 1 | 16 | 10—54 | 1 |

# დევისის თასზე

ერთთვიანი შესვენების შემდეგ განახლდა შეჯიბრება დევისის თასზე. შესვენება გამოწვეული იყო იმით, რომ ბრიტანეთის კუნძულებზე ტარდებოდა ჩოგბურთელთა რამდენიმე საერთაშორისო ტურნირი.

და აი, ევროპის ზონის ორსავე ჯგუფში უკვე გაიმართა ფინალური შეხვედრები.

პარიზის „როლან გაროს" ჩოგბურთის სტადიონზე ერთმანეთს ხვდებოდნენ „ა" ჯგუფის ფინალის მონაწილენი — ბრაზილიისა და საფრანგეთის გუნდები. ასპარეზობას ყოველდღე 10.000 გულშემატკივარი ესწრებოდა, მაგრამ ფრანგები გაწბილდნენ. ჯერ იყო და ბრაზილიელმა ტ. კოხმა დამაჯერებლად მოუგო ფრანგ ფ. ჟოფრეს — 2:6, 6:3, 6:2, 6:1. შემდეგ ე. ე. მანდარინომ სძლია საფრანგეთის მრავალგზის ჩემპიონს პ. დარმონს — 3:6, 6:3, 6:2, 6:1. ბრაზილიელებმა იმარჯვეს მეორე დღეს, წყვილთა შეხვედრაშიც: კოხმა და მანდარინომ მძიმე ბრძოლაში დაამარცხეს პ. ბეუსტა და დ. კონტე — 3:6, 6:4, 5:7, 6:3, 6:4. მესამე დღეს გაიმართა ბოლო შეხვედრები, თუმცა ბრაზილიელებს გამარჯვება უკვე განაღდებული ჰქონდათ — 3:0. მანდარინომ მოუგო ჟოფრეს — 6:4, 6:1, 5:7, 6:2 და ანგარიში 4:0-მდე ავიდა. მხოლოდ ერთმა ფრანგმა — დარმონმა შეძლო ერთგვარად დაეცვა თავისი ქვეყნის პრესტიჟი: დაამარცხა კოხი — 6:4, 9:7, 6:2. ამრიგად, ბრაზილიის გუნდმა საფრანგეთის ჩოგბურთელებს მოუგო ანგარიშით 4:1.

მიუნხენში კი გაიმართა ევროპის ზონის „ბ" ჯგუფის ფინალი, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისა და გფრ-ის გუნდები. ერთეულთა შეხვედრები მასპინძლებმა მოიგეს: ვ. ბუნგერტმა დაამარცხა კ. დრეისდელი (იგი მეხუთეა მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელთა შარშანდელ სიაში) — 6:3, 0:6, 8:6, 6:4, ი. ბუდინგმა, კ. დიპრაამა — 6:2, 6:1, 1:6, 6:4. მეორე დღეს ერთმანეთის პირისპირ დადგნენ წყვილები: ფ. მაკმილანი — კ. დიპრაამი (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) და ი. ბუდინგი — ხ. ელშენბროიხი. ამჯერად წარმატება სამხრეთაფრიკელთა მხარეს იყო — 6:1, 5:7, 1:6, 7:5, 7:5. ჯერჯერობით ანგარიში მიჰყავთ გერმანელებს — 2:1. დანარჩენი ორი მატჩი გადაიდო.



* * *

ს უ რ ა თ ზ ე: თამაშობს ბრაზილიელი ჩოგბურთელი ედსონ მანდარინო.

▲ რ ო მ ი. იტალიის წყალბურთელთა ჩემპიონატს 9 ტურის შემდეგ ლიდერობს „რეკო" — 18 ქულა. მომდევნო ადგილებზე არიან: „კანტიერი" — 14, „ლაციო" — 11, „სორი" —9.

▲ ს პ ლ ი ტ ი. 26 ივლისს აქ შედგება ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ: ბულგარეთის, ავსტრიის, სსრ კავშირის, ლუქსემბურგისა და იუგოსლავიის გუნდები. სსრ კავშირის ჩოგბურთელები პირველ დღეს ავსტრიელებს შეხვდებიან.

▲ მ ა დ რ ი დ ი. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელი ფეხბურთში ადგილობრივი „რეალი" და სამხრეთ ამერიკის ქვეყნების თასის მფლობელი ურუგვაის „პენიაროლი" ერთმანეთს ოქტომბერში შეხვდებიან. პირველი მატჩი გაიმართება 12 ოქტომბერს მონტევიდეოში, ხოლო რევანში — 26 ან 27 ოქტომბერს მადრიდში. თუ ამ ორმა შეხვედრამ ვერ გამოავლინა უძლიერესი, 48 საათის შემდეგ გაიმართება-მათი III მატჩი ევროპის რომელიმე ქალაქში, რომელიც მადრიდის ახლოს მდებარეობს.

▲ ნიუ-იორკი. აშშ-ს კალათბურთელთა ნაკრები გუნდი აგვისტოს პირველ რიცხვებში ევროპას ეწვევა და იქ რამდენიმე ამხანაგურ მატჩს გამართავს. ამერიკელთა პირველი გამოსვლა დაგეგმილია 10 აგვისტოსთვის ბელგრადში, იუგოსლავიის ნაკრების წინააღმდეგ.

▲ ბონი. გფრ-ის ათლეტთა ჩემპიონატზე წარმატება ხვდა წილად ვ. მოლტკეს, რომელმაც მოიგო I ადგილი და თანაც მაღალი შედეგი აჩვენა — 7.961 ქულა. ეს მხოლოდ 17 ქულით ჩამორჩება საბჭოთა ათლეტ ი. კუტენკოს ევროპის რეკორდს.

## ტურნირი სანტა-მონიკაში

ს ა ნ ტ ა-მ ო ნ ი კ ა (კალიფორნია), გ. პიატიგორსკის თასზე უძლიერეს მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირის ორგანიზატორებმა ეს შეჯიბრება ლოს-ანჯელოსიდან ქალაქ სანტა-მონიკაში გადაიტანეს. I ტურში ერთმანეთს შეხვდნენ მსოფლიო ჩემპიონი ტ. პეტროსიანი და ბ. სპასკი. მსოფლიო ჩემპიონმა თავდაპირველად ერთგვარი უპირატესობა მოიპოვა, მაგრამ ეს არ აღმოჩნდა გამარჯვებისთვის საკმარისი. მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ. მწვავედ მიმდინარეობდა ამერიკელი დიდოსტატების — ს. რეშევსკისა და რ. ფიშერის ორთაბრძოლა. რეშევსკი დიდხანს ინარჩუნებდა ინიციატივას, მაგრამ მისი მეტოქე თავს კარგად იცავდა და ეს პარტიაც ყაიმით დასრულდა. ყაიმზე შეთანხმდნენ აგრეთვე, ლ. პორტიში (უნგრეთი) — მ. ნაიდორფი (არგენტინა), ი. დონერი (ჰოლანდია) — ვ. უნციკერი (გფრ). ბ. ივკოვ (იუგოსლავია) — ბ. ლარსენის (დანია) პარტია გადაიდო, სადაც იუგოსლაველს ერთგვარი უპირატესობა აქვს.

## გ. ვ. ბაქრაძე

გარდაიცვალა გიორგი ვიქტორის ძე ბაქრაძე, ქართული სპორტის ამაგდარი, კარგი მეგობარი და გულისხმიერი ადამიანი.

პროფესიით იგი ინჟინერ-მეტალურგი იყო. სპორტს ადრეულ ჭაბუკობაშივე ეზიარა და მას შემდეგ მისთვის არასოდეს უღალატნია. 1914 წლიდან მოკიდებული, გიორგი ბაქრაძე დღემდე იყო ქართული ალპინიზმის, ტურიზმის, სათხილამურო სპორტის განვითარების უშუალო მონაწილე და დიდი ქომაგი.

იგი იყო საკავშირო კატეგორიის მსაჯი სათხილამურო სპორტში, საქართველოს სათხილამურო სპორტის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი 1935 წლიდან, 1962 წლიდან კი — ამ ფედერაციის თავმჯდომარე.

გიორგი ბაქრაძე დაიბადა 1900 წელს. 1960 წლიდან უკვე პენსიონერი, მაინც არ წყვეტდა საზოგადოებრივ მუშაობას, არ ჩამოსცილებია საყვარელ საქმეს.

გ. ბაქრაძე ყველას უყვარდა,—ამხანაგებს, სპორტულ საზოგადოებრიობას, ახალგაზრდობას, რომელიც ბევრს სწავლობდა მისგან.

გ. ბაქრაძის ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი მეგობრების, ამხანაგებისა და აღზრდილების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

რედაქტორის მოადგილე
ჯ. ჯაფარიძე.

საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭო და გაზეთ „ლელოს" რედაქციის კოლექტივი იუწყებიან სათხილამურო სპორტის რესპუბლიკური ფედერაციის თავმჯდომარის, საკავშირო კატეგორიის მსაჯის **გიორგი ვიქტორის ძე ბაქრაძის** გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

საქართველოს სათხილამურო სპორტის ფედერაცია და რესპუბლიკური ალპური კლუბი იუწყებიან საკავშირო კატეგორიის მსაჯის **გიორგი ვიქტორის ძე ბაქრაძის** გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს

ИНДЕКС 66118 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 11 უე 04980